# სახალხო გაზეთი

№ 637 პარასკევი, 29 ივნისი, 1912 წ. № 637

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 1 ივლისს.

## მისამართის გამოცვლა:

ტფილისისა ტფილისს გარეთისაზე ღირს . . . 40 კაპ. შეიძლება
და ქალაქ გარეთისა ქალაქ გარეთისაზევე ღირს მარკებით.
ტფილისს გარეთისა ტფილისისაზე . . . . . უფასოდ.
და ეხლანდელი მისამართი ძველ მისამართზე .

ხელის მომწერმა, რომელიც მისამართს იცვლის, უნდა შეგვატყობინოს დაწვრილებითი მისამართი, როგორც ძველი (ქალაქ გარეთელთ შეუძლიან თ გაზეთის ბანდეროლი გამოგზავნონ) ის ეხალი.

„სახალხო გაზეთი"-ს კანტორა.


## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „ზრდელს".

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
თვეში ღირს 75 კაპ.
(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 პაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს 1-ლ ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა ფოსტის მარკა.

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.


ხანგრძლივსა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ს. კნოლეში (გორის მაზრა) გარდაიცვალა

**კნ. მარიამ** (თ. ავალიშვილის ასული) **ფალავანდიშვილისა.**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: **ივანე, დიმიტრი და ზაქარია გიორგის ძენი ფალავანდიშვილები** და ქალიშვილები **ალექსანდრა გიორგის ასული ყანჩელისა, კნ. სალომე გიორგის ასული ამირეჯიბისა, კნ. დარია გიორგის ასული სუმბათაშვილისა და კნ. თამარა გიორგის ასული ჯავახიშვილისა.** დაკრძალვა შაბათს, 30 ივნისს, სოფ. ოქონაში, საგვარეულო აკლდამაში. (1.1359.1)

ამ წლის 20 მაისს სარატოვის საკატორღო ციხეში გარდაიცვალა პოლიტიკური ტუსაღი

**პეტრე დავითის ძე ჯიჯავაძე**

რასაც გულითადის მწუხარებით აცხადებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართა საყურადღებოდ: მეუღლე **თალიკო გიორგის ასული, ძმა კოტე დავითის ძე და და მარიამ დავითის ასული შუბლაძისა.** პანაშვიდები: შაბათს, 30 ივნისს, საღამოს 7 საათზე სახლში: მლეთის ქუჩ. შესახვ., № 1, სახ. ხალიფოვისა და კვირას წირვის შემდეგ სამების ეკლესიაში, შუადღ. 12 საათზე. (2.508.1)

**გიორგი და ნინა ქორქაძენი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 30 ამ თვეს გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი შუადღ. 12 საათზე, საბურთალოს ეკლესიაში, დაუვიწყარ ძმის

**დიმიტრი გაბრიელის ძის ქორქაძის**

სულის მოსახსენებლად. (1.537.1)

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები:**

| | |
|---|---|
| ქიქინაძე ზ., მრეწველობის წარმომადგენ. საქართველოში 30 კ. | ქართული სტამბა . . . . 10 „ |
| ისტორ. ქართ. ჟურ.-გაზეთობისა 15 „ | ქართველები სპარსეთში . . 20 „ |
| კათოლიკეთა ეკლესია საქარ.-ში 50 „ | ქართლის ცხოვრება წ. I, . 40 „ |
| კათოლიკეთა ეკლესია ბათომში 10 „ | „ „ წ. II, . 1— |
| კათოლიკეთა ეპისკოპოსის მობრძანება საქართველოში 10 „ | „ „ წ. III, . 40 „ |
| მესხეთ-ჯავახეთის გათათრება 10 „ | ცხოვრება საქართველოსი დიდი მოურავის ამბებით . . 15 „ |
| სოლომონ ლეონიძე . . . 10 „ | დიდი მოურავი გიორგი სააკაძე 5 „ |
| საქარ. ვაჭრობა ძ მრეწ. ძველად 15 „ | ხახანაშვილი ა. ბატონ-ყმობა საქართველოში . . . . 50 „ |
| ქართ. კათოლ. სასულ. მოღვაწ. და მესხეთ-ჯავახეთის ცნობა 25 „ | იმერეთ. მეფე სოლომონ მეორე 25 „ |
| ქართ. კათოლიკეთა ვაჭრობა 30 „ | **იაკობ გოგებაშვილის სურათი** |
| ქართ. კათოლ. ყველა ასპარეზზე 25 „ | ბრისტოლის სქელ ქაღალდზე 50 „ |

ვინც ხუთს ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 20%; ვინც 25 ცალზე მეტს, დაეთმობა 25%; ვინც 50 ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 30%. შეიძლება ფასდადებითაც გაიგზავნოს.

ადრესი დეპეშისათვის: Тифлисъ грамотность. (წ. 1141.64)

ივნისის 29-ს—სამტრედიაში, 30-ს ნოღალევში და 1 ივლისს—ზუგდიდში

## აკაკი ფაღავა

წაიკითხავს ლექციას:

**„თამარ მეფე და ვეფხის ტყაოსანი."**

(თამარ მეფის ეპოქა და „ვეფხის-ტყაოსანი" როგორც ამ ეპოქის საქართველოს კულტურულ მდგომარეობის გამომხატველი ნაწარმოები).

დაწვრილებით აფიშებში. (5.1355 3)

**ახალი კლუბი** (საზაფხულო თეატრი)

შაბათს, 30 ივნისს, ქართულ დრამატიულ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

**I. სიზმარი კოშკში**

კომიური დრამისთვის კონსტან ანდრონისა.

მონაწილეობენ: ქ. პიერეტტა, ბ.ბ. ვ. გუნია, დ. მგალობლიშვილი, ვ. მატარაძე, ზ. ბერიშვილი და სხვ.

**II. ტიტველი ქალი.**

დიალოგი 1 მოქ. გუნიასი.

მონაწილეობენ ვ. აბაშიძე და კ. მესხი. ფასები თეატრში 1 მ. 50 კ. ქალები და სტუდენტები—25 კ.

**დასაწყისი საღამოს ცხრ ს ნახევარ საათზე.**

**ანონსი:** 2 ივლისს—ორშაბათს—ახალ კლუბის დაარსების წლის თავზე: ხელის მოწერით საერთო ვახშამი და კაბარე. სამშაბათს 3 ივნისს, სიმფონიური საღამო ბერლინის საოპერო თეატრის არტისტკა ქალის ლულუ კესსერის მონაწილეობით. (1.1357.1)


ამა წლის პირველ ივლისში ქ. ქუთაისში გამოვა

**ყოვ.-დღიური საპოლიტიკო ძ სალიტერატურო ქართული გაზეთი**

## ჩვენი ცხოვრება

| | |
|---|---|
| გაზეთი წლიურად ღირს 7 მ. | თვიურად ქუთაისში . . 80 კ. |
| ნახევარის წლით „ 4 „ | ქუთაისს გარედ . . . 90 „ |
| სამი თვით . . . „ 2 „ 50 კ. | საზღვარ-გარედ . . 14 მ. |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—სამი შაური, უკანასკნელზე—ორი შაური. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—სამი მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. სულაქველიძე.**

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Кутаисъ Юстину Гавриловичу Баланчивадзе.

ფული მიიღება მხოლოდ ბ ლანჩივ ძის სახელზე.

რედაქც. ადრესი: ქუთ ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი № 6. (5 1270.1)


## განცხადება.

ტფილის. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის

## გამგეობა

აცხადებს, რომ „ნედოიმკიანი" ქონება-მამული, რომელიც ვერ გაიყიდა 1912 წ. 19, 21, 23 ივნისს დანიშნულ საჯარო ვაჭრობაზე, გადმოვიდა მეორე და უკანასკნელ საჯარო ვაჭრობაზე და

## გაიყიდება

1912 წ. 9 მკათათვეს |ივლისს|, შუადღის 12 საათზე, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე, ქართველ თავად-აზნაურთა სახლში.

გასასყიდ ქონება-მამულთა სია გამოკიდებული იქნება დასათვალიერებლად ბანკისავე სადგომში. (1.1361.1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძმნიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაცი ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**შალვაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი** (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.58)

## „ნახშირა"-ს საზოგადოების გამგეობა

ამით აცნობებს ქ. ტფილისში ნახშირის საწყობების პატრონებსა და მოიხმარებლებს, რომ, რადგან ტყიბულის ქვანახშირის მონოპოლურად გამყიდველს ჩვენ კონტრაგენტს ხელშეკრულობის ვადა გაუთავდა, ამიტომ მსურველთაგან ქვანახშირის ვაგონებით დაკვეთა დღეიდან მიიღება პირდაპირ საზოგადოების გამგეობის სადგომში, სოლოლაკის ქ., 14. (4—1348—3)

შეიძლება დაკვეთა:

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნებს დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.**
**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** **თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.** **ხონში—ეფროსინე ჩიჩინაძესთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.** **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.** **ერევანში—ელენე ვირსალაძესთან.**
**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**
**გორში—ნიკო ლომაურთან.**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—1153—3)

ქ უ თ ა ი ს ი

## ქუთაისში რკინეულობის სავაჭრო

**სტეფანე პავლეს ძე ფეიქაროვისა**

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველებს, რომ მან ცეცხლის შემდეგ **განაახლა ვაჭრობა** თავის საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქ. მაღაზიაში გაიხსნა ვაჭრობა სხვა და სხვა სისტემის **რევოლვერებისა და სანადირო თოფებისა.**

(25.1252.2) პატივისცემით **ს. პ. ფეიქაროვი.**

ქ უ თ ა ი ს ი

**გამოვიდა ნ. პ. სულხანიშვილის** მიერ ნოტებზე შემუშავებული „ცისკრის" საგალობელი

**„ღმერთი უფალი",**

1 ხმა შემოკლებული კილო მრავალ ხმაზე, 3 და 1 ხმაზე ფასი 35 კ. პროვინციელთათვის შეღავათით. **ადრესი:** 1) ტფილ. გოლოვინის პრ., 10, სამუსიკ. მაღაზია **კ. შუმანისა,** 2) ტფ. მუხრანის ქ. 25, ლიტოგრაფია **ვ. კილაძისა** 2 36—1)

## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 326)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაზაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. ბოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606" -**

(წლ—1018—258).

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდ. (25—1178—69)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—49)

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების. სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1 82. (თ. 1037 193)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1

**ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (0—1334—13)

**ექიმი აბასთუმანში ე. ი. მინასიანცი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (წ. 1347.197)

**ექიმი ივ. გომართელი** მიიღებს ავადმყოფთ დაბა **ბორჯომში** პირველ თიბათვიდან—პირველ ენკენისთვემდი. (25.468.23)

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—1.4)

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.139)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე** 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში 9—3 საათამდე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ დღეებში სახალხო განათლების სამინისტრომ გამოსცა ახალი კანონი სახალხო ბიბლიოთეკების შესახებ, რომლის ძალითაც სრულიად იცვლება როგორც წესი მათის დაარსებისა, ისე მისი შინაგანი მართვა-გამგებლობა.

„რუსკოე სლოვო" ამ ახალი კანონის შესახებ შემდეგს აღნიშნავს:

„რაკი სამასწავლებლო კურსებს ბოლო მოეღო, სახალხო განათლების სამინისტრო შემდეგს მორიგ რეფორმას მიადგა, სახელდობრ სახალხო ბიბლიოთეკებს.

„სახალხო ბიბლიოთეკები დღემდი ერთად-ერთი კულტურული კერა იყო, საიდანაც გლეხობა იძენდა ცოდნას, ამდიდრებდა თვისი გონების სალაროს და იქვე ჰპოულობდა თვისი მარტივი მეურნებისათვის გონიერ ცნობებს:

„ამიტომაც მთავრობის მთელი ყურადღება ბიბლიოთეკებზე იყო მიპყრობილი. ვინ გინდათ, რომ მის შინაურ საქმეებში არ ჩარეულიყო: ბოქაულები, საერობო უფროსები, სახალხო სკოლების დირექტორები და ინსპექტორები, ყველა თავის მოვალეობად სთვლიდა მაზე „ზრუნვასა" და ოპეკუნობას".

გაზეთი იგონებს იმ დროს, როცა სახალხო ბიბლიოთეკებში აკრძალული იყო თვით უწყინარი შინაარსის წიგნები, როგორიცაა მაგ. პუშკინის „კაპიტანის ასული", ნიკიტინისა და ნეკრასოვის ნაწერები და სხვ.

„დღემდის ბიბლიოთეკების არსებობა განსაზღვრული იყო 28 თებერვ 1906 წ. გამოცემული კანონებით, მაგრამ თვით ეს თარიღი „1906" ალბად დიდად აეჭვიანებდა განათლების უწყებას და ოქტომბრის დღეთა წინა დროის დაბრუნების სურვილს იწვევდა მის გულში.

„ახალი კანონების ძალით, სახ. ბიბლიოთეკები შეიძლება გაიხსნას სამაზრო სასკოლო საბჭოებისა და სახალხო სკოლების დირექტორების ნებართვით. წიგნების გამოწერაც მხოლოდ „სათანადო დაწესებულებათა უფროსების განკარგულებით" შეიძლება.

„შემოწირულმა წიგნებმა სახალ. სკოლების ინსპექტორის ცენზურა უნდა განიცადოს, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა—თვით ბიბლიოთეკის გამგეც იმავე ინსპექტორისაგან ინიშნება.

„ახალი კანონები კიდევ უფრო შორს მიდიან: ასე გასინჯეთ, წიგნების გატანისა და ბიბლიოთეკებით სარგებლობის წესიც იმავე უფროსების კანტროლის ქვეშ იმყოფება.

შემდეგ გაზეთი სახ. ბიბლიოთეკების ახალ კანონებს საზოგადო სწავლების რეფორმას უკავშირებს და დაასკვნის, რომ ახალი წესი ბიბლიოთეკების შესახებ ძირშივე ჰკლავს საზოგადო-სავალდებულო სწავლების მოსალოდნელ სიკეთეს, რადგან რად უნდა სოფელს წერა-კითხვა, თუ ხეირიან წიგნს ვერ იშოვისო.

„ამნაირად,—დაასკვნის გაზეთი,—დიდს განმანათლებელ საქმეს, რომლისთვისაც მუშაობდნენ საზოგადოების საუკეთესო ძალები და რომელსაც სწავლა-აღზრდის საქმეში ნაკლები ღვაწლი არ მიუძღვის, ვიდრე თვით სკოლებს, ხელის ერთი მოსმით სამუდამოდ სპობენ".

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გამო.** ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო ბიურომ თხოვნით მიმართა მთავრობისა და წოდებრივ დაწესებულებებს, გამოუგზავნოს სია იმ პირებისა, რომელთა უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ მომავალ არჩევნებში.

— გუშინდლამდე ქალაქის გამგეობამ ცენზიან პირთა სიები მიიღო: რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლიდან, მეოთხე საქალაქო სასწავლებლიდან, ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტისაგან, საარქეოგრაფიო კომისიიდან, არსენალიდან, საარტილერიო საწყობიდან, საჯარო ბიბლიოთეკიდან და სასულიერო სასწავლებლიდან.

— ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო ბიურომ ქარხნების ინსპექტორსა და რკინის გზის სამმართველოს მოსთხოვა სია ცენზიან პირებისა, რომელთაც უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ მომავალ არჩევნებში მუშათა კურიიდან. ასეთი პირნი ცალკე სიაში იქნებიან შეტანილნი.

— სასტატისტიკო ბიურომ ტფ. მაზრის უფროსს სთხოვა, გამოუგზავნოს სია იმ რუს მემამულეებისა, რომელთაც ნება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მემამულეთა საერთო კრებაში და არჩევნებში რუსთა კურიაში.

✦ **ექსკურსიები.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ 7 თიბათვის სხდომაზე დაადგინა გაგზავნოს წელს საექსკურსიოდ: ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი და სარგის კაკაბაძე ქუთაისს, იქაურ სიგელ-გუჯრების გასაცნობად და დეკანოზი კორნელი კეკელიძე გელათს ხელნაწერების შესასწავლად; შემდეგ საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო მასალების შესაკრებად: ექვთიმე თაყაიშვილი—ქართლსა და სამეგრელოს, იუსტინე აბულაძე—ქვემო იმერეთსა, სერგო გორგაძე—ზემო იმერეთს, სარგის კაკაბაძე ქართლსა და სამეგრელოს და მხატვარი მოსე თოიძე—ხევსურეთში. ამას გარდა სახუროთ-მოძღვრო ნაშთების გეგმებისა და ფრესკების გადმოსაღებად საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში გაგზავნილ იქნებიან მხატვრები და ხუროთ-მოძღვრები.

✦ **გაძლიერებული დაცვა კავკასიაში.** მინისტრთა საბჭოს გადაუწყვეტია, ნამესტნიკის წინადადების თანახმად, კავკასიის ზოგიერთ ადგილს ისევ დასტოვოს გაძლიერებული დაცვის წესები. სახელდობრ ბაქოს საგრადონაჩალნიკოში კიდევ 6 თვის განმავლობაში უნდა დარჩესო კავკასიის ნამესტნიკის, გაძლიერებულ დაცვის წესთა თანახმად, განსაკუთრებული უფლებანი კასპიის ზღვის ფლოტზეო.

✦ **კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტი** უკვე შეუდგა მზადებას სრულიად რუსეთის შინა მრეწველობის გამოფენისთვის, რომელიც 1913 წლის მარტს პეტერბურგში გაიმართება. გამოფენაზე კავკასიის ექსპონატებს 80 ოთხკუთხი საჟენი ალაგი ეჭირება. კავკასიის განყოფილების მოსაწყობად შემდგარია მთავარი კომიტეტი სენატორ ე. ა. ვატაცის თავმჯდომარეობით.

✦ **სეირნობა.** დღეს მუშტაიდში სეირნობაა დანიშნული სახალხო სახლთან არსებულ რუსულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ. ბაღში შესვლა უფასოა.

**კავკასიის საბრეშუმო სადგურს** 200 მან. მიეცა მეფუტკრეობისა და მებაღეობის გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად. გამოფენა გაიმართება პეტერბურგში 1-დან 18 სექტემბრამდე.

✦ **ექსკურსია წალკაში.** ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, ივლისის დამდეგს ხმოსნების ექსკურსია მოაწყოს წალკის წყაროების დასათვალიერებლად.

✦ **საელექტრონო სადგური.** ქალაქის გამგეობისა და საბჭოს სატეხნიკო კომისიის შეერთებული კრება 3 ივლისს განიხილავს წინადადებას ბ-ნ ტარისისას, რომელიც ელექტრონით ქალაქის განათებას კისრულობს.

✦ **თამამშევის ქარვასლის** საფუძვლიანად გადაკეთებას ივლისში შეუდგებიან. ხარჯი ნავარაუდევია 200,000 მან. გადაკეთების პროექტი ქალაქის გამგეობას უკვე დაუმტკიცებია.

✦ საფოსტო გზის მოიჯარადრემ ინუკმა საფოსტო სატელეგრაფო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ნება დართონ გაადიდოს ცხენების კომპლექტი სოღანლუღისა და მახაანის საფოსტო სადგურებში, რადგანაც მგზავრების რიცხვმა შესამჩნევად იმატა და ცხენების ეხლანდელი კომპლექტი საჭიროებას არ ეთანხმება.

✦ **იაკობ გოგებაშვილის ფონდის სასარგებლოდ** „სახალხო გაზეთის" რედაქციამ დღემდე მიიღო 466 მანეთი და 24 კაპეიკი.

✦ **ტფ. საბირჟო** კომიტეტი და ვაჭართა მამასახლისის კამერა დროებით გადავიდა ახალ ბინაზე, ვაჭართა საზოგადოების სახლში № 50, ბებუთოვის ქუჩაზე.

✦ **ქართული საგალობელი.** გამოვიდა და ისყიდება ცისკრის საგალობელი „ღმერთი უფალი", ნოტებზე გადაღებულ ნ. პ. სულხანიშვილის მიერ. ფასი 35 კ.

✦ **აბრეშუმის პარკის ფასი** კავკასიაში შარშანდელთან შედარებით წელს ძლიერ დაეცა. მიზეზი ამისი ის არის, რომ საზღვარ გარედ დიდი ძალი პარკი ჰქონიათ შენახული და იმდენი მოთხოვნილება არ არის იქიდან, როგორც შარშან.

✦ რედაქციამ მიიღო ბ. ი. პ. როსტომაშვილის წიგნი „იაფი და გონიერი მიწის შემუშავების ძირითადი საფუძველი (ხვნა თესვისა, მებოსტნეობისა, მებაღეობასა და მევენახეობისა და სხვა) ეს წიგნი ბ. როსტომაშვილს დაუწერია ციხეში ჯდომის დროს.

✦ **ექსკურსიები.** ტფილისის დასათვალიერებლად ამ ჟამად დიდძალი ხალხია ჩამოსული. ექსკურსანტებს ქალაქისაგან დათმობილი აქვს საქალაქო სკოლების შენობები. ყველა შენობა ამ ჟამად დაჭერილია გარდა ავლაბრის და ვერის მეორე საქალაქო სკოლისა.

✦ ამ დღეებში ტფილისში ჩამოვლენ კურსკის დედათა გიმნაზიის მოსწავლენი.

✦ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სავაჭრო განყოფილებამ ტფილის საბირჟო კომიტეტს აცნობა, რომ ტფილისის ბირჟის მაკლერი ბ. ე. ბუღდანოვი დაინიშნა ამავე ბირჟის უფროსს მაკლერად. ბუღდანოვი წინად 32 წლის განმავლობაში დიდ ვაჭრობას ეწეოდა, და საკუთარი გემებიც ჰქონდა.

✦ 27 ივნისს, ტფილისში 6 უპა-პორტო შეიპყრეს.

### საზოგადოებანი და კრებები.

✦ თიბათვის 25-ს მოხდა **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების** წევრების კერძო თათბირი, რომელსაც დაესწრო საბჭოს ზოგიერთი წევრიც. იუსტინე აბულაძემ წაიკითხა მოკლე მოხსენება, რომელშიაც გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა ცალკე კომისია სალექსიკონო მასალის შესაკრებად და შესამუშავებლად. თათბირმა უარჰყო ყოველგვარი კომისია და გამოსთქვა მოსაზრება, რომ ისევ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო გაუძღვეს სალექსიკონო მასალის შეკრებას და შემუშავებას კერძო პირების დახმარებით.

✦ **ქართ. სასოფლო-სამეურნეო** საზოგადოების საბჭოს მორიგი სხდომა მოხდება შაბათს, 30 ივნისს. განსახილველია სხვა და სხვა მიმდინარე საკითხი.

### სასწავლებლებში

✦ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისია** მომავალ სამოსწავლო წლიდან ქალაქის სასწავლებლებთან გახსნის სამ ახალ განყოფილებას—ქართულს, რუსულს და სომხურს.

✦ **ავლაბრის საქალებო პროგიმნაზიის** სადგომად ოთხის წლით ქირაობენ თამბაქოს ფირმის „მირ"-ის შენობას, როზოვის მოედანზე. პირველს წელიწადს გაიხსნება, სააზბანო და ორი მოსამზადებელი განყოფილება და პირველი კლასი. თხოვნები დროებით მიიღება ვაჟთა მეხუთე გიმნაზიის დირექტორი ი. ს. ღულაძესთან.

### რკინის გზებზე

✦ **სად. ხაშური** (გორის მაზრა): გიმნაზიათათვის მზრუნველ საზოგადოების აქაური მეორე ხარისხის სკოლა გადააკეთეს ექვს-კლასიან პროგიმნაზიად, დამთავრებულთათვის უფლებებით. ამის გამო საზოგადოებამ 24 ივნისს მომხდარ კრებაზე დაადგინა მადლობა გამოუცხადოს კავკასიის რკინის გზის უფროსს ბ. როოპს, სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ბ. რუდოლფს და რკინის გზის სამოსწავლო ნაწილის უფროსს ბ. ბერგს, რომელთაც დიდი დახმარება გაუწიეს საზოგადოებას ამ საქმეში. ამავე კრებაზე საზოგადოებამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას სათანადო მთავრობის წინაშე, რათა პროგიმნაზიას გარდაცვალებულ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელი მიენიჭოს, რაზედაც განსვენებული სიცოცხლეშივე დათანხმებულა.

### გორი

✦ ოცდა ხუთ ივნისს სოფ. ხელთუბანში მოხდა **გორის მაზრის მეექვსე საბლაღოჩინო ოლქის კრება.** ბლაღოჩინის მღვდ. მ. სეით გამრეკლის თავმჯდომარეობით. კრებაზე დაესწრო ცამეტი მღვდელი და ცამეტი ძედავითნე. კრების გახსნის შემდეგ, თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის პედაგოგის ი. გოგებაშვილისა და კათოლიკების მღვდ. გვარამაძის ხსოვნას. კრებაზე სხვა და სხვა საკითხი იყო, რაიცა კრებამ მოისმინა და გაარჩია. სხვათა შორის დაადგინეს: დრამის გადასახადი კოდი პური მოსპონ და მაგივრად დანიშნონ კომლზე ორი მანათი.

ამავე დღეს ხელთუბნის სოფლის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ი. გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის გათავების შემდეგ ბლ. მღ. მ. სეით გამრეკელმა მშვენივრად დაასურათა ი. გოგებაშვილს მოღვაწეობა. შემდეგ ამისა მ. გამრეკელმა წინადადება მისცა დამსწრეთ შეეწირათ, ვისაც რა შეეძლო ი. გოგებაშვილის ფონდის გასაძლიერებლად. ეს აზრი ყველას მოეწონა და თავისი წვლილი გამოიღო.

✦ კვირას, 1 ივლისს, დილის 11 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია **გორის ქართველ გამომცემელ ამხანაგობის საგანგებო კრება.** განსახილველია საკითხები სტამბისა და „ქართლის" რედაქციის ნივთიერად მოწყობა-მოწესრიგებისა.

✦ **სასწავლებელი.** ქ. გორისა და ს. ხიდისთავის ინტელიგენტთა ერთ ჯგუფს მომრიგებელ შუამავლის თ. გ. ამირეჯიბის მეთაურობით განზრახვა აქვს დაარსოს სასოფლო სასწავლებელი სოფ. ხიდისთავში.

✦ **სასეირნო ბაღი.** გორის ქალაქის მამასახლისის თანაშემწემ დ. რ. მაჭავარიანმა სთხოვა გორის მემამულეთ თუმანიშვილებს, დაუთმონ ქალაქს ერთი დღის მამული ქალაქის ზემოთა ნაწილში, ეგრედ წოდებულ ნაზვრევში, სასეირნო ბაღის გასაშენებლად. ერთმა თუმანიშვილთაგანმა იმედი აუთქვა და შეჰპირდა ძმებს მოველაპარაკებიო. ქალაქის ბაღი, რომელიც მდებარეობს ლიახვის პირას, ძალიან არის დაშორებული ზემოთა ნაწილს. („ქართლი")

### ქუთაისი.

✦ საჩხერის მომრიგებელ-შუამავლის განყოფილება ორად უნდა გაიყოს. ერთ განყოფილებაში, რომელშიაც შედის 4 სოფლის საზოგადოება, სადაც 1044 კომლი ცხოვ[illegible] გადაჰყავთ [illegible] შუამავლი [illegible] ნა[illegible]ში, რომელშიც შედის 2 სოფლის საზოგადოება, სადაც 974 კომლი დრ. ვალ. გლეხია, გადაჰყავთ დ. ელიავა და 4 სოფ. საზოგადოება—748 დრ. ვალ. გლეხით დარჩება ახლანდელ მომრიგებელ შუამავლის ალ. წერეთლის ხელში.

✦ კვირას, 1 ივლისს, პეტერბურგის ქართულ სათვისტომოს გამგეობა ქალაქის ბაღში გამართავს სეირნობას სათვისტომოს სასარგებლოდ. მომავალ წელში სათვისტომოს განზრახული აქვს, როგორც ვიცით, განსვენებულ მგოსნის გრიგოლ აბაშიძის ნაშთების სამშობლოში გადმოსვენება, ქართული კოლონიის მოწყობა, ქართული ხოროს შედგენა და სხ., რაც, რასაკვირველია, ბევრ ხარჯებს მოითხოვს, ამისათვის სათვისტომო ცდილობს აქ სამშობლოში რამე შეკრიბოს. სეირნობას მართავს ქალაქის მოურავის მეუღლე ქ-ნი ელენე ჩიქოვანისა.

(„კოლხ.")

### ბათომი

✦ ქალაქის სასანიტარო ექიმმა ოქმი შეუყენა ფრიდრიხ მჭედლოვსა და ალ. ი. მანთაშევს—სასანიტარო წესების დარღვევის გამო. ოქმი შეუყენა აგრეთვე მაშადი მამედ ოღლის, ძველი ნივთების უპლომბოთ ვაჭრობისათვის.

✦ კვირას, 24 ივნისს, ბათომის ქალ. თვითმმართველობის შენობაში მოხდა ბათომის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება. კრებამ დაამტკიცა 13 მაისის კრების ჟურნალი, წევრებად მიიღო გენერალი ტრონიცკი, კუსკოვი, ქარცივაძე და სხვები. თავმჯდომარის ამხანაგის მოადგილედ კრებამ აირჩია ამ საზოგადოების ხაზინადარი სელეზნოვი.

✦ სასოფლო-სამეურნეო კურსების მსმენელ მასწავლებლებმა, 25 ივნისს დაათვალიერეს სოუქსუში დიადუშის მამული.

✦ 22 ივნისს საჯევახო გზაზე გაუძარცვავთ ჩოხატაურიდან მომავალი მეურმე მეგრელები, და წაურთმევიათ, როგორც ამბობენ, სამას მანეთამდე; მეგრელებს სიმინდი გაუყიდიათ ჩოხატაურში და ეს ფული სიმინდში აღებული ყოფილა.

### ფოთი

✦ ხუთშაბათს, 28 ივნისს, ქალაქის თვითმართველობის შენობაში ბ-ნი იოსებ ყიფშიძე წაიკითხავს ქართულად ლექციას შემდეგ თემაზე: „მეგრული ენა და მისი შესწავლის ისტორია".

### რაჭა

✦ სამხედრო ოსეთის გზას სხვა დროს 1 ივნისიდან გაიხსნებოდა ხოლმე და ამ გზით დ. ონს დიდძალი სიმინდი მიდიოდა. რაჭა სიმინდის მოსვლით ერთობ ღარიბია. წელს ეს გზა ჯერაც გაუვალია და მის შეკეთებას არავინ ფიქრობს; სიმინდი მარტო იმერეთიდან მოდის, ცოტა და ძვირია და ხალხიც გაჭირვებაშია.

## ანკეტა პეტერბურგში მოსწავლე ქართველთა მდგომარეობის გამოსარკვევად.

(შემდეგი *)

დედმამა ყველას ქართველი არა ჰყოლია. მაგალითად ასეთი შემთხვევა არის:

მამა ჰყავს: სომეხი . . 1.
„ „ რუსი . . 1.
„ „ ფრანგი . 1.
„ „ ებრაელი . 1.
დედა ჰყავს: სომეხი . 1.
„ „ ებრაელი . 2.
„ „ ბერძენი . 1.
„ „ რუსი . . 1.

ერთი სტუდენტი ანკეტაში გვთხოვდა გამოგვერკვია პრესის საშუალებით ვინ არის იგი: მამა ჰყავს ებრაელი, დედაც ებრაელი და „მე თითონ"-ო, სწერდა. „ძლიერ ბევრი მაქვს საერთო ქართველებთანაო".

ეს საკითხი საგანგებოდ იქმნა გამორკვეული პეტერბ. ქართული სამეცნიერო წრის კრებულში, რომელიც ამ წლის შემოდგომაზე გამოვა. ამიტომ აქ ამ საკითხზე არას ვიტყვით.

ამ საკითხმა (ე. ი. რა ეროვნებისაა მამა და დედა) დიდი არევ-დარევა გამოიწვია. ზოგს აურევია ეროვნება და ტომობა ამიტომაც არის რომ ზოგიერთმა გვიპასუხა: მამა—იმერელი მყავსო, დედა გურულიო, მეგრელი, ქართლელი, კახელი და სხ. ერთი იმდენად თავაზიანი და ზდილობიანი გამოდგა, რომ სულელიც კი გვიწოდა, რისთვის—ეს იმის სინიდისზე იყოს?! მეორეს ასეთი კითხვა (რა ეროვნებისაა მშობლები?) სასაცილოდ მიუჩნევია. მე თუ ქართველი ვარ, ჩემი მშობლები ვინ იქნებიანო, და პასუხი ასეთი მოგვცა: „მამა—სპარსელი, დედა არაბის ქალი. ვინ იქნებიანო?" ცოტა რომ უფრო ჩაფიქრებოდა საკითხს, დაინახავდა, რომ ასეთი შემთხვევაც ადვილი მოსალოდნელი იყო, ე. ი. მამა სპარსელი, დედა არაბი და შვილი კი ქართველი.

მამა უმაღლესი განათლებით ჰყოლია ალქურვილი

მხოლოდ „ „ 14.—$9\frac{5}{6}\%$
საშუალო განათ. „ 40. $35\frac{1}{5}$ „
დაბალი „ „ „ 33.—$23\frac{1}{4}$ „
წერა-კითხვა იცის
მხოლოდ „ „ 40.—$35\frac{1}{5}$ „
არ იცის წ.-კითხვა „ 5.— $3\frac{1}{2}$ „
დედა უმაღლესი განათლებით**) „ 0.
საშუალო „ „ 27.—20 „
დაბალი „ „ 27.—20 „
წ. კ. იცის მხოლ. „ 67.—$49\frac{1}{2}$ „
არ იცის „ 14.—$10\frac{1}{2}$ „

როგორც ვხედავთ მამაკაცებში წერაკითხვის არ მცოდნე ძლიერ მცირე რიცხოვანია, დედებში კი თითქმის სამჯერ მეტია ($3\frac{1}{2}\%$—$10\frac{1}{2}\%$) რაც შეეხება უმაღლესი განათლება მიღებულთ მაინც და მაინც არც მამები დაწინაურებულან და დედებში ხომ არც ერთი არ აღმოჩნდა.

სარწმუნოების მხრივ უმრავლესობა მართლმადიდებელია. მხოლოდ
მამა ჰყავს მაჰმადიანი—1.
„ „ კათოლიკე—4.
„ „ მოსეს რჯულ.—1.
დედა ჰყავს მაჰმადიანი—1.
„ „ კათოლიკე — —3.
„ „ მოსეს რჯულის—1.
„ „ ლიუტერანი —1.
„ „ გრიგორიანი —1.

მშობლების ქონება და შემოსავალი დაახლოვებით ასეთია: ***)

მარტო მიწის მესაკუთრე— — 53— $40\frac{1}{2}\%$
მარტო სამსახური 30— $22\frac{2}{3}\%$
ხელოსანი — 4 — $3\%$ ($3\frac{1}{33}\%$)
ვაჭრობა — 4 — $3\%$ ($3\frac{1}{33}\%$)
მეცხვარეები— 2 — $1\frac{1}{2}\%$
არავითარი სახსარი არ აქვს — 4 — $3\%$ ($3\frac{1}{33}\%$)

არიან აგრეთვე ტყის დამმუშავებელნი, სახლის მესაკუთრენი და სხ., მაგრამ ასეთების რიცხვი ძლიერ მცირეა.

როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, ვაჭრობა და მრეწველობა ყველაზე ნაკლებ რიცხვს შეადგენს. უმრავლესობა კი მიწის მესაკუთრეა. თუ კი მივიღებთ მხედველობაში იმას, რანაირად ამუშავებენ მიწას, დავინახავთ რომ უმრავლესობის ეკონომიური მდგომარეობა ძლიერ უნუგეშოა. მაგალითად 53 მიწის მესაკუთრედან საკუთარი შრომით:

ამუშავებს მხოლოდ 26
იჯარით „ 24*)—
ქირით „ 25

ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ მშობლების შემოსავალი რამდენისამე მანეთით ისაზღვრებოდეს.

შემოსავალი აქვს წლიურად:
200 მ.-დან 500-დე 32 **) კაცს $29\%$ ($\frac{1}{11}$)
500 „ 1000 „ 31 „ $28\%$ ($28\%$ $\frac{2}{11}$)
1000 „ 2000 „ 18 „ $16\%$ ($16\%$ $\frac{4}{11}$)
2000 „ 5000 „ 15 „ $13\frac{1}{2}\%$
5000 „ — — 9 „ $8\%$ ($8\frac{2}{11}\%$)
10,000 მ. შემოსავალი 2 კაცს. $1\frac{1}{2}\%$.

ამას გარდა ზოგიერთი კიდევ ოხუნჯობს: „მამაჩემს ჰკითხეთო".—ამბობს ერთი მეორეს შემოსავლის აღსანიშნავ ადგილზე დაუსვამს ალგებრული ნიშნები: x. y. z.; ერთსაც სრულიად წაუშლია ეკონომიური ხასიათის კითხვები; ერთი კი სწერს: „ყველაფერი დაგირავებულია და ჩემდა წილად მხოლოდ მინუსი (—) რჩებაო".

ძლიერ მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა იმათი ოჯახები ვინც გვიპასუხა ანკეტაზე.

ძმა ან და არ ჰყოლია მხოლოდ—9-ს.

წლოვანების მიხედვით ასეა განაწილებული.

10 წლამდე არის ორივე სქესის 80
11 წლიდან 20-დე „ „ 205
20 დან „ „ „ „ 269
სულ არის 554

ორთა შუა რიცხვით თითოს ჰყოლია 4 (და ან ძმა).

ამათგან სწავლობს—259.

საკუთრივ, ცალკე ცხოვრობს—295 იმათ გარდა, ვინც პეტერბურგში სწავლობს, მშობლები კიდევ ინახავენ სხვებს. მაგალითად: 45 ოჯახი არჩენს სულ 107 სულს. ერთი მეორეზე თითქმის სამს. არ ინახავს მხოლოდ 101 ოჯახი.

ვინც პასუხი მოგვცა, იმათში ცოლიანი ყოფილა—13.

სამოქალაქო წესით შეუღლებული მხოლოდ—1.

დანარჩენი 12 კი „კანონიერია".

ერთი ამათ გარდა პირობას იძლევა არასოდეს არ შევირთავო; მეორე სკეპტიკურად უყურებს საკითხს.

ქალებში, ვინც პეტერბურგში სწავლობენ ქმრიანი არც ერთი არა ყოფილა.

ცოლიანებს შვილები ჰყოლიათ 8-ს
„ „ არ ჰყოლია . . 5-ს
ცოლი რუსის ქალი ჰყავს. 2-ს
ებრაელი . . . . . 1-ს
ყაბარდოელი . . . . . 1-ს

ზოგიერთის ცოლი სწავლობს პოლიტეხნიკურ კურსებზე (ქალების); ზოგი ოდესაში; ერთიც მასწავლებლობს.

ერთი არ აღნიშნავს, ერთიც არ გვიპასუხებს. (ამ ცნობებს ქმრები იძლევიან).

აქ მოსწავლე ახალგაზრდობის რიცხვიდან მშობლებთან
სცხოვრობს მხოლოდ 6—$4\frac{1}{2}\%$
გაკვეთილებით „ „ 2—$1\frac{1}{2}$
ცალკე (ოთახს ქირაობენ) 126—$94\%$
არ გვიპასუხა **თორმეტმა.**

ქალაქის ცენტრში ცხოვრობს 48—$35\%$
„ განაპირაში „ 89—$65\%$
არ გვიპასუხა **ცხრამ** (ამ კითხვაზე).

აქედან:
ბინა აქვს ნაქირავები 7—$4\frac{5}{6}\%$
ოთახი „ „ „ 139—$95\frac{1}{6}\%$

ინტერესს მოკლებული არ იქნება ვიცოდეთ, რამდენი რომელ სართულში ცხოვრობს.

მესამე სართულში ცხოვრობს 32 კაცი
მეოთხე „ „ 21 „
მეხუთე „ „ 12 „
მეექვსე „ „ 2 „
მეორე „ „ 45 „
პირველ „ „ 14 „

ამ შემთხვევაში უნდა მივიღოთ მხედველობაში შემდეგი გარემოება: უმრავლესობას როგორც სჩანს მეორე სართულში მცხოვრებნი შეადგენენ (45 კაცი); მაგრამ ამ რიცხვში შედიან პოლიტეხნიკოსებიც და პსიხო-ნევრ-იც. რომელნიც თავთავიანთ სასწავლებლის მახლობლად ცხოვრობენ, ქალაქის განაპირაში, სადაც სამ სართულიანი სახლებიც გამონაკლისს შეადგენს. თუ კი ამას მივაქცევთ ყურადღებას (სატყეო ინსტიტუტთან სულ ხის სახლებია

*) იხ. „სახალხო გაზ." № 636.

** არ უპასუხნია—11.

***) არ აღნიშნავს 14.

*) ხშირად ამ რიცხვიდან ზოგიერთნი იჯარითაც აძლევენ მიწას და ქირითაც.
**) არ სწერს—24
არ იცის— 5
არავითარი სახსარი არ აქვს—5.

✦ აკაკის მისაღებად, ღირსეულად დასახვედრათ რაჭა-ლეჩხუმი დიდ მზადებაშია. თუ კი სავსებით მოაწყეს იმ პროგრამის შესრულება, რაც განზრახული აქვთ, შესაფერი დარბაზობა იქნება.

✦ საღმელის საზოგადოება ძვირფას ქვის შენობას აგებს სკოლისათვის. ყრუ ვექილების უმრავლესობამ უცნაურსა და შეუწყნარებელ ადგილზე გადასწყვიტა სკოლის აგება. ირგვლივ ამ ადგილს დუქნები აკრავს და განათლების ტაძარი ამ დუქნების შუაგულ იქნება მომწყვდეული და საჭირო არც ეზო ექნება სკოლას. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ყრილობაზე, როცა სკოლისათვის ადგილს ირჩევდნენ, მაზრის უფროსიც დაესწრო, დარწმუნებული ვართ, მაზრის უფროსი რომ უფრო ენერგიულად მოკიდებოდა ამ საქმეს, ბრმა ვექილებს გადაათქმევინებდა ამ გადაწყვეტილებას. ეხლა ერთიღა დაგვრჩენია, რომ უმაღლესი მთავრობა და დირექცია შესაფერ განკარგულებას მოახდენს და მომავალი სკოლის შენობა დუქნებში არ აიგება და მოწაფენიც ცუდ გავლენას ასცდებიან.

სრული ათი წელიწადია, რაც ონელები სამოქალაქო სკოლის დაარსებას სცდილობენ. წელსაც დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ეს საქმე იმათ სასარგებლოდ გადაწყდებოდა. ადგილი შეიძინეს, რამდენიმე ათასი მანეთიც შეაგროვეს, ოლქის მზრუნველმაც სამინისტროს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, მაგრამ პეტერბურგიდან ცნობა მოსულა, რომ ონელებს ამ სამოქალაქო სკოლის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. საქმე ისაა, რომ ეს სამოქალაქო სკოლა მარტო მკვიდრთათვის კი არ იქნებოდა სასარგებლო, არამედ მაზრის ბევრ დაწესებულების ხელმოკლე მოხელეთაც დიდ შეღავათსაც მისცემდა შვილების აღზრდის საქმეში.

✦ ამ ჟამად რაჭაში უცხოელი კაპიტალისტები არიან, რომელნიც საჰიდრავლიკო სადგურისთვის ადგილს იკვლევენ. სხვათაშორის აქედან ძალა უნდა ჰიათურასაც წამოვიდეს შავიქვის გადასადნობად.

„კ—ლხ.“

## სოფლად

✦ პარკის მოსავალი წელს გვარიანია გურიაში, მაგრამ ფასი 10—11 მანეთის მეტი არა აქვს. რაც შარშან დააკლდა ვაჭრებს, ერთი ათად უნდა აინაზღაურონ. მოსავალს ჯერ ჯერობით გვარიანი პირი უჩანს.

(„ბათ. გაზ.“)

✦ ონში ი. ზარდალიშვილმა წარმოდგენა გამართა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნები დარჩა. მეორე წარმოდგენა პარასკევს იქნება. („კოლხ.“)

✦ **დაბა თიანეთი.** უცნობმა ბოროტ-მოქმედმა ღამე თოფით მოჰკლა სოფ. ალავნის მცხოვრები ლაზარე ვეფხვაშვილი.

✦ **ს. დიკლო** (თიანეთის მაზრა). სოფლის მახლობლად გიო ქაძე ცხვარს აძოვებდა. გორაკიდან გამოსულა რამდენიმე შეიარაღებული უცნობი და თოფები დაუშენია მისთვის შემდეგ კი მიმალულან. მძიმედ დაჭრილი ქაძე სოფელში ჩამოიყვანეს, სადაც ის ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა. ბოროტ-მოქმედი ვერ შეიპყრეს.

## ბუნების კარისაკენ!
### (იაკობ გოგებაშვილის ხსოვნას).

როცა უკანასკნელად ვეწვიე იაკობ გოგებაშვილს, ის ავად იყო და ლოგინში იწვა. სხვათა შორის, ვესაუბრე ჩემი ნაწერებისა და წერის ჩვეულების შესახებ; უთხარი, კარგა ხანია რაც შემდეგი ჩვეულება შემითვისებია, მეთქი: ვწერ და ვკითხულობ მინდორში, ტყეში, წყლის პირად, გაშლილი ცის ქვეშ; არ ვსაჭიროებ ოთახს, სკამს და მაგიდას: დავიდებ მუხლზე წიგნს, ზედ ვშლი ქაღალდს და ისე ვწერ.

„მეც ასე დავწერე ჩემი „დედაენა“ და „ბუნების კარი“, მიპასუხა განსვენებულმა: „მიმქონდა ტყეში და მინდორში მასალა, იქ ვაწყობდი, ვალაგებდი და ვწერდი“.

ეს სიტყვები ჩვენი განსვენებული მოღვაწისა, ჩემის აზრით, იმის სულიერ ანდერძში შესატანი საყურადღებო მოვლენაა.

„როცა მოვრჩები.—სთქვა განსვენებულმა,—უნდა განვაახლო ჩემი ძველი ჩვეულება: ქალაქ გარედ ვივლი და იქ ბუნების კალთაში ვიმუშავებო“,—დასძინა იაკობმა.

ამ სიტყვებს კარგად უნდა დავუფიქრდეთ, თუ გვსურს განსვენებულ მოღვაწის ანდერძი ერთგულად ავასრულოთ.

უმრავლესობა გამოჩენილ კაცთა ხსოვნის აღსანიშნავად ძეგლ ნატკენსა და დახავსებულ გზას ირჩევს, რადგან ამ გზით სიარული ადვილია: ძეგლი, ფონდი, რომელიც არავინ იცის რას მოხმარდება და სხ.

ძეგლი—მასავით გაქვავებული ძველი ჩვეულების ნაყოფია და ამავე დროს კაცობრიობის ქალაქელი ნაწილის თავის კერძო, ეგოისტურ გრძნობის გამომხატველია. მთელ ხალხში გროვდება ფული მხოლოდ იმისათვის, რომ ქალაქელმა ივანემ ან პეტრემ გამოჩენილ მოღვაწის გამოქანდაკებული სურათით თვალთა ხედვა დაიტკბოს.

ბევრი ძეგლი მინახავს ჩემ სიცოცხლეში, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მათი ხილვით ჩემ სულიერ ცხოვრებას რამე მოეგოს.

უდიდესი ძეგლი—ადამიანისაგან დატოვებული სულიერი ანდერძი, ძვირფასი ნაფიქრი და ნაგრძნობია. ვერც ერთი ძეგლი ვერ გამოიწვევს თქვენ სულსა და გულში იმ აღფრთოვანებას, რომელსაც ჰბადებს გამოჩენილ მოღვაწის ცხოვრება ან ნაწერებში დაცული ფიქრთა წყარო. ამ ზეციურ აღფრთოვანებასთან შედარებით თვითეული ძეგლი მართლაც დედა-მიწაზე დაკრული ცივი ლოდია.

ამიტომ, ჩემის აზრით, გამოჩენილ მოღვაწეთა სულიერი ანდერძის ასასრულებლად ყველაზე უპირველესად უნდა ვეცადოთ მივაწოდოთ ხალხს არა ცივი და მკვდარი ლოდი, არამედ ამ მოღვაწეთა სიყვარულით მჩქეფარე, მარად ცოცხალი ნაფიქრი და ნაგრძნობი.

### წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ამით ვაცხადებთ, რომ თანახმად ხელის მოწერის პირობებისა, წლიური ხელის მოწერის ფასის გადასახდელი მეოთხე და უკანასკნელი **ვადა არის 1 ივლისი**, როდესაც გადახდილი უნდა იყოს სრული ფასი 8 მან. და 50 კ. — **„სახალხო გაზეთის“ კანტორა.**

განსვენებული იაკობი ჩემზე ბევრად წინ მიხვდა, რომ ბუნების კალთა, ვით მშობლის უბე, სიყვარულიანი შემოქმედების უშრეტი წყაროა. ამ ბუნებასთან მამა-შვილურ კავშირს მწერლისას უნდა მოვაწეროთ ის კეთილი სიტყვები, რომლებსაც „დედა-ენასა“ და „ბუნების კარში“ ვპოვებთ.

თითქო განსვენებულმა განზრახ იმიტომ შეალო ბუნების კარი, რომ იქ ტკბილი დედა-ენისათვის მიეგნო.

თუ ჩვენი და ჩვენი შვილების სულიერი განახლება გვწყურია, ისევ იმ ბუნების კალთას და იქ მობინადრე ხალხს უნდა დაუბრუნდეთ, რომელმაც სულიერი ძალა შესძინა მთელი მსოფლიოს გამოჩენილ მოღვაწეთ და დღესაც ჩვენი დაცემული ენისა და ზნეობის აღსადგენად გვიწვევს.

აქვე, ჩვენს ახლოს, ქალაქის განაპირას—ბუნების კალთა იწყება. ცოტა რომ გავცილდებით ჩვენ მყრალ ქუჩებს, უკვე სუფთა და გრილ ნიავის ქროლვას ვგრძნობთ: თითქო ბუნების უხილავი ანგელოზი თავის მსუბუქ, სპეტაკ ფრთებსა შლის, თავს გვევლება, თავისკენ გვიწვევს. ქალაქს გარედ ერთი საათი სეირნობაც თითქო რაღაც საუცხოო მალამოდ ედება ქალაქელი ადამიანის მუდამ-ჟამს აშფოთებულ და მწუხარე სულსა და გულს. ფიქრი და გრძნობა ბუნების კალთაში იწმინდება, სინათლით ივსება; დაჭიმული ძარღვები დუნდება, ჯავრიან გულს ნათელი, მშვიდობიანი გრძნობა ეუფლება.

ბუნების კალთაში ადამიანი სულითა და სხეულით გრძნობს რომ იგი ბოროტ არსებად არ მოვლენილა ამ წუთი სოფელში, გრძნობს, რომ სასტიკად ტანჯავს ჰაერ-დახშული ქალაქი, რომელიც თვითონ შეჰქმნა, საარაკო თვალთმაქც ოინბაზივით, საზარელ ჩვენებას გამოუძახა და მერე მის წინაშე თვითონ დაიბნა და არ იცის რა მოუგვაროს, რა ჯადოსიტყვები იხმაროს, რომ თავიდან მოიშოროს.

ადამიანი გრძნობს, რომ ქალაქებში მჭიდროდ შეჯგუფული კაცობრიობის უმცირესი ნაწილი ხელოვნურად, ნაძალადევად, ყოველ წუთს ერთ-ურთის აბეზარი ხილვით გაბოროტებულია. ადამიანთა კანსა და კანს შუა არ ჰქრის ჩვენ აშმორებულ ქუჩებში სულის მაგრილობელი საყვარელი ნიავი და ამ არა-ბუნებრივი ცხოვრებით გაბოროტებული ადამიანი თავის მოყვასზე შურს იძიებს მხოლოდ იმისათვის, რომ იგი მუდამ ჟამს თვალში ეჩხირება, თვალთა-ხედვის წრიდან არ შორდება.

ქალაქელ ადამიანს სძულს თავისი მოყვასი, როგორც შესძულდებათ ხოლმე თავისი ამხანაგები იმ მეზღვაურთ, რომლებიც დიდ ხანს, თვეთვეზე გემით მგზავრობენ თვალუწვდენ ოკეანეში. სალაპარაკოდ, თვალის დასანახავად ეჯავრებათ ერთმანეთი.

განა ბუნებრივია ის ცხოვრება, რომელიც, მაგალითად, ასე საუცხოოდ ასწერა სახელ-განთქმულმა რუსის მწერალმა გერცენმა:

„ჩვენი ცხოვრება თავისა თვისისაგან მუდმივი ლტოლვაა, თითქო მუდამ ჟამს სინდისის მხილება გვდევნის და გვაფრთხობს. დადგება თუ არა საკუთარ ფეხზე ადამიანი, მაშინათვე ყვირილს იწყებს, რათა ჩააქროს ის ხმა, რომელიც თვის გულში ესმის. როცა მოსწყინდება—დროს გასატარებლად მორბის; როცა უსაქმოდაა—რამე საქმეს იგონებს; სძულს მარტოობა, ამიტომ ყველას მეგობრობს, ყველაფერს კითხულობს, სხვის საქმეში ერევა, საჩქაროდ ცოლს თხოულობს. ვინც ამგვარი ცხოვრება ვერ მოახერხა, სხვა და სხვა გვარად ითრება: ღვინით, ძველი ფულის შესწავლით, ბანქოს თამაშით, ქალებით, ქველმოქმედებით; შეტოპავს ხოლმე მისტიციზმში, ემხრობა იეზუიტებს, აუტანელ შრომას კისრულობს, და ყველა ეს უფრო ადვილად ეჩვენება, ვიდრე ის მრისხანე ჭეშმარიტება, რომელიც მის გულში სთვლემს.

ჩვენ გვეშინია ჩვენი ცხოვრების გამორკვევისა, ვშიშობთ, რათა არ დავინახოთ, რომ თვით გამოსარკვევი საგანი სისულელეა; ხელოვნურად ვქმნით ყოველდღიურ ფაცა-ფუცს, მოუცლელობას, სხვა და სხვა ყალბ მწუხარებას; თვითეულ ნაბიჯს მოხერხებულად ვასრულებთ; ამგვარად თითქო ძილში განვლით ამ წუთი სოფელს და ისე ვკვდებით ამ წვრილმან და უაზრო აურზაურში, რომ გონს არ მოვდივართ“.

აი უტყუარი სურათი ბუნებასა და ხალხს მოწყვეტილ ადამიანის ცხოვრებისა. არ დავღონდეთ: გზა ხსნისა ახლოა. გვახსოვდეს ბუნების კარი და ამ კარს უკან დაცული განახლების უკვდავი, გამოულეველი წყარო!..

**ილია ნაკაშიძე.**

## სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევის შესახებ.

გაზ. „უტრო როსიის“ გაუგია რომ 16 ივნისს უმაღლესი ბრძანების ძალით სასახლის სამღვდელოებისაგან შემდგარა საეკლესიო კრების საგანგებო წინასწარი სათათბირო, რომელმაც უნდა მოახდინოს სამზადისი საეკლესიო კრების მოსაწვევად. 24 ივნისს სასახლის პროტოპრესვიტერის სადგომში ხსენებულ სათათბიროს პირველი სხდომა ჰქონია, რომელზედაც გამოურკვევიათ მომავალი მუშაობის საგანი და გეგმა, მაგრამ გადამწყვეტი დადგენილება არ გამოუტანიათ. წევრებს დაუდგენიათ, რომ მათი მუშაობის მსვლელობა საიდუმლო ნუ იქნება და პრესას რიგზე მივაწოდოთ ხოლმე ცნობებიო. სინოდის სფერები ძლიერ უკმაყოფილო გამხდარა ახალ სათათბიროს დანიშვნის გამო, რადგან უკვე არსებობს ამ გვარი სათათბირო სინოდის წევრებისაგან შემდგარი, მაგრამ იგი სრულებით არ ჩქარობდა მაზე მინდობილ საკითხის გადაწყვეტას.

სარწმუნო წყაროებიდან ირწმუნებიან, რომ ახალი სათათბირო არ დაექვემდებარება სინოდს და სრულიად დამოუკიდებლად იმუშავებს. სექტემბერში მოიწვევენ მის წევრთა საზოგადო კრებას.

სასახლის სამღვდელოების სათათბიროში მონაწილეობას მიიღებს როგორც სატახტო ქალაქებისა, ისე პროვინციათა სასახლის ეკლესიებიც, რომელთა რიცხვი 72 მდეა. უმაღლეს სფერებში საეკლესიო კრების მოწვევას დიდ მნიშვნელობას აძლევენ. სასახლის სამღვდ. სათათბირო არ შეეხება პატრიარქობის შემოღების საკითხს.

## სხვა და სხვა ამბავი

### რუსეთის რკინის გზების შემოსავალი 1911 წ.

გზათა სამინისტროს გაუთვალისწინებია მთელი რუსეთის რკინის გზების შემოსავალ-გასავალის ჯამი 1911 წლის განძავლობაში, რომელიც შემდეგი ციფრებით გამოიხატება;

ყველა გზის საერთო შემოსავალი ყოფილა 996.098.636 მან., გასავალი კი—592.336.617 მ. ამ რიგად წმინდა მოგება დარჩენილა 403.762.019 მ., ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე მოსალოდნელი იყო, და 80 მილიონით მეტი, ვიდრე 1910 წ. მეტი წილი მოგებისა სახაზინო გზებიდან დარჩენილა—260.000.000 მ. კერძო გზებიდან ყველაზე მეტად შემოსავლიანი ყოფილა კავკავის გზა—27.000.000 მ.

მხოლოდ ერთს ბაიკალის მხრის გზას უზარალნია 7 მილიონი მანეთი.

**ნერვებ აშლილი მოსამართლე.** ოლტარჟევსკის მომრიგებელი მოსამართლე, როგორც ადგილობრივი გაზეთი გადმოგვცემს, როდესაც არჩევდა თურმე საქმეს გალახვის თაობაზე, იმდენად აუღელვებია ჩხუბის აღწერის ამბავს, რომ მივარდნია ბრალდებულ შერმანს და სასტიკად უცემია.

გალახულს საჩივარი აღუძრავს „მიუდგომელი“ მოსამართლის წინააღმდეგ.

## უცხოეთი

### გერმანელთა სტუდენტების ცემა პრაგაში.

17 ივნისს, პრაგაში (ჩეხია) გერმანელ და ჩეხელ სტუდენტებს შეტაკება მოუვიდათ. პრაგაში მთლად სლავიანთა [illegible] გაიმართა, „შევარდნებმა“, რიცხვით თითქმის 15 [illegible] სიარული. ამ სეირნობის დროს, გერმანელ სტუდენტთა სასეირნო ადგილს გარს შემოერტყნენ და „შევარდნებისაკენ“ არ უშვებდნენ. მაგრამ ისინი მაინც სცდილობდნენ სხვა და სხვა მისახვევ-მოსახვევ ქუჩებით მათთან შეხვედრას. უცებ წააწყდნენ უშველებელ ბრბოს ჩეხელებისას. ხალხმა გერმანელებს ყვირილი და ლანძღვა დაუწყო, ქუდები მოიხადეთო. შემდეგ მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც რამდენიმე სტუდენტი დაშავებულა. საერთოდ 30 კაცამდე დაშავებულა. აღსანიშნავია, რომ ჩეხელთა გაზეთები მოუწოდებდნენ ხალხს, გერმანელთა საეროვნო ფერებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ყოველგვარ შეტაკებას მოერიდენითო.

უეჭველია პრაგაში დატრიალებული ამბავი იმოქმედებს გერმანელთა და ჩეხელთა დეპუტატების ურთიერთობაზე პარლამენტში, სტუდენტებს უკვე გაუგზავნიათ დეპეშა დეპუტატებისათვის. ვენის პარლამენტში ძალიან აღელვებულან.

### ჰუნგრეთის საოპოზიციო საეროვნო პარტია.

18 ივნისს ჰუნგრელთა შეერთებულმა ოპოზიციონერებმა სეგედინსა და მარიამ-ტერეზიოპედში ორი დიდი მიტინგი გაჰმართეს. კრებებს აუარებელი ხალხი დასწრებია. ორთავე კრებაზე ყველა საოპოზიციო პარტიათა წარმომადგენლებმა განაცხადეს, საჭიროა შეერთება და შექმნა ერთის ძლიერი საეროვნო საოპოზიციო პარტიისაო. ახალ პარტიის პროგრამა უნდა იყვეს: ზედა-პალატის მოსპობა, რადგან მან დაამტკიცა სამხედრო კანონპროექტების დადასტურებით, რომ ერის ინტერესებისათვის არა ზრუნავს და აღდგენა საპოლიტიკო სტატუსისა, რომელიც გრაფტისამდე ყოფილა.

როდესაც სეგედინში აპონი სამხედრო რეფორმათა გამო ლაპარაკობდა, სთქვა: ზედა პალატამ დაამტკიცა საამისო კანონპროექტები, მეფეც დაამტკიცებს ალბადაო. ამ დროს ხალხში დაიძახეს! „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ აპონიმ ამის გამო შენიშნა, ოპოზიცია თავის დღეში ვერ მოიცვლის ფეხს კანონიერებისა და კონსტიტუციაზე, რევოლუციონერებს ვერ გაჰყვებაო.

## ლენის ამბები

„უტრო როსიი“-ს კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, რომ 22 ივნისს დაიწყო მოლაპარაკება სენატ. მანუხინსა და მუშათა წარმომადგენლებს შორის. სენატორმა განუმარ-

---

თითო და ორ-ორ სართულიანი), მაშინ უმრავლესობას მესამე სართულში მცხოვრებნი შეადგენენ (32).

ოთახების სიდიდე ორთაშუა რიცხვით არ აღემატება **6X5X4** არშინს **ე. ი. 120 კუბ. არშინს.**

ჩვენი სტუდენტობის თითქმის ნახევარი ნაწილი ამხანაგებთან ცხოვრობს—63 სტუდენტი. უმრავლესობა ორ-ორი ცხოვრობს. ერთ შემთხვევაში ერთად ცხოვრობს 8 სტუდენტი.

სამ-სამი ცხოვრობს—10.

სადილს უმრავლესობა სტუდენტთა სასადილოში სჭამს—78.

სამწუხაროდ არის შემთხვევა (და არა ერთი და ორი), როცა ჩვენი სტუდენტები ყოველ-დღე ვერ სადილობენ:*)

ასეთი შემთხვევა—26—18 2/3 %.

ყოველდღე სადილობს—113—81 1/3 %

სადილის ფასი ძლიერ პატარაა და ადვილი წარმოსადგენია ასეთ ცხოვრებას რა მოჰყვება.**)

20 კაპ. სადილს სჭამს—20 კაცი.
25 „ „ „ 19 „
30 „ „ „ —17 „
35 „ „ „ —15 „

არიან აგრეთვე ისეთებიც, რომელნიც სადილში ხარჯავენ 40 კაპ.; 45 კაპ.; 50 კ.; 60 კ.; 75 კ., მაგრამ მათი რიცხვი საერთოდ არ აღემატება—23. ყველაზე უკეთესად იკვებებიან უნივერსანტები; ყველაზე უარესად ფსიხონევრ. უკანასკნელთა სადილის ფასი 30 კაპ. არ აღემატება. რაც შეეხება ქალებს, მხოლოდ ერთი შემთხვევაა, როცა სადილზე ხარჯავს—5 კაპ. (შაურს) სათითაოდ ყველაზე (ორთაშუა რიცხვით) მოდის დღეში—27 1/2 კაპეიკი სასწავლებლების მიხედვით თუ გამოვიყვანთ ორთაშუა რიცხვს, მაშინ სურათი ასეთი იქნება:

უნივერსიტეტში*) — 31 1/7 კაპ.
სამხედ. სააქიმ. აკადემ.**) 26 1/3 კაპ.
ფსიხონევრ-ში***) — 17 1/2 კაპ.
პოლიტეხნიკუმში****) — 29 1/7 კაპ.
უმაღ. დანარჩენ ვაჟების.
სასწავლ.*****) — 29 1/3 კაპ.
ქალების—სასწ. — 28 1/5 კაპ.

ტანსაცმელი ასე თუ ისე, ყველასა აქვს. რასაკვირველია უკეთესად ჩაცმა სირცხვილი და დასაძრახისი არ იქნებოდა, მაგრამ... ისიც კარგია, რომ ტიტველნი არ არიან. მხოლოდ თითო ოროლას არ ჰქონია: ზოგს პალტო, ზოგს კალოში; ზოგს თეთრეული და სხვა.

განთავისუფლებულნი ყოფილან სწავლის ფულიდან. სულ 47.—33 1/2 %„
მშობლების შემწეობით გადაუხდიათ „ „ 46.—33 % (32 5/7 %)
ნათესავების „ 13.— 9 1/2 „
საკუთარი შრომით „ „ 11.— 8 % (7 6/7) „
სტიპენდიიდან „ 6. 4 1/3 % „
მშობლ. და ნათეს. შემწეობით „ 6.— 4 1/3 % „
მშობ. და თვისი შრომით „ 3.— 2 1/7 % „
ნათეს. „ „ 3.— 2 1/7 % „
ნათეს. და სტიპენდიით „ 2.— 1 1/2 % „
მშობლები და დამხ. საზ. „ 2.— 1 1/2 % „
დახმარება სხვა და სხ. საზ. „ 1.— 0,7 % „
არ გვიპასუხა ექვსმა.

სტიპენდიას ღებულობს 56 კაცი.
ქუთ. თავ.-აზნ. სტიპენდიას იღებს 17 „ ქართ. შორ. წ.-კით. გამავრც.
საზ. სტიპენდიას იღებს „ „ 7
სახელმწ. დაწესებ. სტიპენ. „ 10
სამხ. საექიმ. აკადემ. „ „ „ 18
არ აღნიშნავს რომელ დაწ. „ 4

ძლიერ საინტერესო ცნობები მოგვცა ანკეტამ იმის გამოსარკვევად თუ ვინ რამდენ ფულს იღებს თვიურად.

**I. უნივერსიტეტში მყოფნი** იღებენ:

1) 20 მ—დან—25 მანეთამდე—13. (20 მ. იღებს—2, 22 მ.—1; 25 მ.—10;)

2) 27 მ—დან—30 მანეთამდე—8. (27 მ. იღებს—1; 28 მ.—1; 30 მ.—6;)

3). 35 მ—დან—45 მანეთამდე 15. (35 მ. იღებს—7; 40 მ.—6; 42 მ—1; 45 მ.—1;).

4) 50 მ—დან—70 მანეთამდე—10. (50 მ. იღებს—5; 60 მ.—3; 65 მ.—1; 70 მ.—1;).

5) 75 მ—დან—100 მ—დე—3. (75 მ. იღებს—1; 85 მ.—1; 100 მ.—1;).

ორთა შუა რიცხვით თითო სტუდენტი იღებს თვიურად 40 მ. 40 კ.

ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ 5 თუმანზე მეტი მხოლოდ 13 მოდის. მაგრამ რომ შევადაროთ საერთო რიცხვს, (**1944 მან.**) უკანასკნელი **13 კაცის** შემოსავლის რაოდენობა (**825 მან.**) დავინახავთ შემდეგს: **36 სტუდენტი** იღებს **სულ 1119 მან.** და **13 კი 825 მ.** ორთა შუა რიცხვი პირველ და მეორე შემთხვევაში ასეთი იქნება: 31 მ. 9 კაპ. პირველთათვის: 63 მან. 46 კ. მეორე შემთხვევაში. განსხვავება ძლიერ თვალსაჩინოა. თუ კი აგრე არ მოვიქეცით ადვილად შეიძლება ადამიანი შეცდომაში შევიდეს და ჩვენი სტუდენტობა შეძლებულებად ჩათვალოს.

**II ახლა ვნახოთ სამხედრო საექიმო აკადემია** *)

1) 18 მანეთიდან 40 მ.-დე იღებს 9. (18 მ. იღებს—1; 27 მ.—1; 30 მ.—2; 35 მ.—4. 40 მ.—1).

2) 45 მანეთიდან—60-დე „ 6. (45 მ. იღებს—2; 50 მ.—1; 55 მ.—1; 60 მ.—2).

3) 72 მან. — — 75 მ. — 2. (72 მ. იღებს—1; 75 მ.—1).

ორთა შუა რიცხვით თითო სამხედრო აკადემიის სტუდენტი იღებს **45 მან. 90 კაპ.**

ამ შემთხვევაში განსხვავება მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის ისე დიდი არაა როგორც წინედ: მხოლოდ ერთი იღებს 18 მ. თვეში და ისიც ალბად დროებით, რადგან შემდეგ (ახლა ის პირველ კურსზე ყოფილა) სახაზინო სტიპენდია დაენიშნება.

**III გადავიდეთ პოლიტეხნიკუმზე.**

1) 15 მანეთიდან—40 მანეთამდე იღებს—18. (15 მ. იღებს -1; 20 მ.—4; 25 მ.—2; 30 მ.—7; 35 მ.—1; 40 მ.—3;)

2) 50 მან.—დან—75-დე—3. (50 მ. იღებს 1; 55 მ. -1; 74 მ. 81;)

3) 200 მანეთს იღებს—1.

ორთა შუა რიცხვით უკანასკნელი რომ ჩაუმატოთ (200 მ. 1;) თითო იღებს—**408 მ. 5 კ.** მაგრამ რადგანაც **ორასი მანეთი** ამ შემთხვევაში გამონაკლისს შეადგენს, სინამდვილესთან უფრო ახლო იქნება თუ ორთაშუა რიცხვის გამოყვანის დროს სრულიად არ მივიღებთ მხედველობაში. მაშინ თითოზე იქნება 33 მანეთი (ცოტა ნაკლები).

**IV ფსიხონევროლოგები***)

1) 15 მანეთიდან 35 მ.-დე იღებს 18. (15 მ. იღებს 3; 20 მ. 4; 25 მ. 3; 30 მ. 4; 32 მ. 2; 35 მ. 2.)

2) 40 მანეთიდან 50 მ.-დე იღებს 2. (40 მ. იღებს 1; 50 მ. 1.)

ორთა შუა რიცხვით თითო იღებს თვეში 27 მან. 23 კაპ.

დანარჩენი ვაჟების

**V უმაღლეს სასწავლებლებში მყოფნი****)

1) 14 მანეთიდან 40 მ.-დე იღებს 9. (14 მ. ილ. 1; 15 მ. 1; 20 მ. 1: 25 მ. 1; 30 მ. 4; 40 მ. 1.)

2) 50 მანეთიდან 90 მ.-დე იღებს 4. (50 მ. ილ. 2; 55 მ. 1; 90 მ. 1.)

ორთა შუა რიცხვით თითო იღებს თვეში—36 მ. 90 კ. მაგრამ აქაც იგივე უნდა ითქვას, რაც ზევით იყო თქმული ზოგიერთ სასწავლებლებზე. მაშინ ორთა შუა რიცხვი შესამჩნევათ დაიწევს.

**VI ქალები:***)

1) 10 მანეთიდან—30 მ-დე—7. (10 მ. იღებს—1; 25 მ—2; 30 მ—4;)

2) 40 მ-დან „ 50 მ-დე—7. (40 მიიღეს 5; 45 მ. 1; 50 მ.—1;)

მხოლოდ ერთი იღებს მარტო 5 მანეთს.

თუ კი ეს უკანასკნელიც შევიტანეთ ორთაშუა რიცხვის გამოყვანის დროს საერთო ციფრებში მაშინ თითოზე მოდის—**32 მანეთი**, მაგრამ განსხვავება 5 მანეთსა და სხვებს შორის ძლიერ დიდია, ამიტომ უმჯობესი იქნება ცალკე ვიანგარიშოთ, როგორც ანორმალური მოვლენა. მაშინ ორთა შუა რიცხვი აიწევს, თუმცა არც იმდენად: **34 მანეთამდე** (ცოტათი ნაკლები).

საერთოდ კი პეტერბურგში მოსწავლე ქართველი სტუდენტი ორთაშუა რიცხვით იღებს **37 მან. 9 კაპ.**

(შემდეგი იქნება).

---

*) ამაზე არ გვიპასუხა 7-მა.
**) ამაზედაც არ გვიპასუხა 7-მა.

*) არ უპასუხნია უნივერსიტეტიდან—3.
**) გვიპასუხა ყველამ (41).
***) არ უპასუხნია ერთს.
****) არ უპასუხნია —1—
*****) არ უპასუხნია—2—

*) არ გვიპასუხა 2.

*) არ აღნიშნავს—2.

**) არ აღნიშნავს—2.
*) არ იძლევა ცნობას—2.

ტა მუშებს, რომ ლენის ამხანაგობამ მიიღო მუშათა მიერ ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა შესწორება, გარდა ერთი მუხლისა, რომელიც ხელშეკრულების გაუქმების ვადას ეხება. 21 იყო თათბირი ხელფასის მომატების შესახებ.

მუშათა სულიერი განწყობილება პესიმისტურია. მათი მოლოდინი, რომ 4 აპრილის სისხლის ღვრის გამომწვევნი სამართალში იქნებოდენ მიცემული და აგრედვე გადააყენებდნენ ადმინისტრაციის იმ პირთაც, რომელნიც თვისი უმართებულო მოქმედებით მუდამ აღელვებდნენ მუშებს, სრულიად არ გამართლდა. ამიტომ მუშები ვერ გამორკვეულან თუ რისთვის დანიშნეს სენატორის რევიზია.

დახოცილი მუშების ქვრივებს ებრძანათ, 24 ივნისს დასტოვონ სახელმწიფო სადგომები. 22 ივნისს მოხდა ლენის ადმინისტრაცის უფროს მოხელეთა თათბირი მუშებთან მორიგების საკითხის შესახებ, მაგრამ შედეგი ჯერ არვინ იცის. მუშების წარმომადგენელნი შიშობენ, რომ მათი მარწმუნებლები 24-ს ისევ მიატოებენ მუშაობას.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ**

28 ივნისი.

### ოსმალეთის ამბები.

**სტამბოლი.** სენატმა კომისიის რედაქციით მიიღო კანონი, რომელიც აფიცრებს პოლიტიკაში მონაწილეობას უკრძალავს.

ხმა დავარდა, სამხედრო მინისტრი უნდა გადადგესო.

მაჰმუდ-შევკეთი სამსახურიდან გადადგა. იგი სენატორად დაინიშნა. სამხედრო სამინისტრო დროებით საზღვაო მინისტრს ჩააბარეს.

მთავრობის ჯარს ალბანელებთან ყოველ დღე მოსდით თურმე ბრძოლა

### ავსტრია-ჰუნგრეთის ამბავი.

**ვენა.** ავსტრიისა და ჰუნგრეთის მინისტრთა საერთო ბჭობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ხმა დავარდა, საველე არტილერიის უვარგისობის თაობაზე ჰქონიათ ლაპარაკიო. „კორესპონდენ-ბიუროსათვის“ დაუვალებიათ განაცხადოს, რომ. საველე არტილერიას ნაკლი სულ არა აქვს რაო.

მინისტრთა შეერთებულ საბჭოს უარი უთქვამს სამხედრო მინისტრისათვის, რომელიც სამხედრო ჰაეროპლანების შესაძენად 250 მილიონის გადადებას მოითხოვს. ფულის გადადების პირველი მოწინააღმდეგე ლუკაჩი ყოფილა. გაზეთები აღნიშნავენ, დროებით უთქვამთ უარი, ერთი წლის შემდეგ ფულს გადასდებენო. ჰუნგრელი ოპოზიციონერები ამბობენ, ეს საპოლიტიკო ხრიკია, ჰუნგრეთის სამინისტროს მდგომარეობის დასახსნელად ნახმარიო.

### შაჰსევნების მოძრაობა.

**თავრიზი.** აგარიდან იუწყებიან, 22 ივნისს შაჰსევნები ჯევათ-ხანის მოთაოვეობით შეეცადნენ აგარის აღებასაო. როგორც კი გაიგეს, რუსის რაზმი მოდისო, უკან დაიხიეს. რუსის რაზმი აგარაში 26 ივნისს ჩამოვიდა. აგარის ტელეგრაფი აღადგინეს.

### დალაი-ლამა.

**კალკუტა.** ამბობენ, ჩინელთა მომხრეებს დალაი-ლამის დესპანები დაუხოცნიათო. ამის გამო დალაი-ლამა ინდოეთს დაბრუნებას აპირებს თურმე.

### ინგლისის ამბავი.

**ლონდონი.** თემზისა და სხვა ქარხნებში მუშაობა უკვე ყველგან დაიწყო.

გუშინდელ აფეთქების დროს 30 კაცი დაღუპულა, სხვათა შორის მთავრობის სამი ინსპექტორი. მეფედედოფალმა უბედურების ადგილი დაათვალიერეს. იქავე მეფე მაღაროებში ჩაშვებულა და სამუშაოები დაუთვალიერებია.

### რ უ ს ე თ ი.

**ისტორია საშუალო სასწავლებელში.**

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების სამინისტრო შეუდგა საშუალო სასწავლებლებში ისტორიის სწავლების პროგრამის შემუშავებას.

**რედაქტორების დასჯა.**

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ მუშათა ჟურნალის „დელო ჟიზნის“ რედაქტორებს მოროზოვს და პრონინს 2 წლის კატორღა გადაუწყვიტა.

„სახელმწიფო სათათბიროს „ბროშურის გამოცემისათვის კაფელმანს წლინახევრის ციხე გადაუწყვიტეს.

# შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) დიმიტრი სულხანიშვილმა, დიდგომარეთის დროებით მცხოვრებმა: სიგელი როსტომ მეფისა, 1640 წლისა.

2) ეპისკოპოსმა კირიონმა შემოსწირა წელს 129 სხვა და სხვა სახელწოდების ნაბეჭდი წიგნი ქართულსა, რუსულსა, ინგლისურსა, აფხაზურსა, სვანურსა და ოსურს ენაზე 206 ტომად (ხოლო წარსულს 1911 წელს საისტორიო საზოგადოებამ მიიღო მისგანვე 76 სახელწოდების ნაბეჭდი წიგნი სხვა და სხვა ენაზე—89 ტომად; აგრედვე 116 ხელნაწერი წიგნი, დიდ-ძალი ძველი ფული, ალბომები და საარქეოლოგიო ნივთები.)

3) თავ. პავლე იოსების ძემ თუმანიშვილმა 2433 სხვა და სხვა სახელწოდების ნაბეჭდი წიგნი უმთავრესად საქართველოს და ამიერ-კავკასიის შესახებ, აგრედვე გაზეთები: „დროება“, „სახალხო გაზეთი“, „ზაკავკაზიე“ და „ზაკავკაზ. რეჩ“-ი.

4) სერგი რომ. გორგაძემ: 34 სხვა და სხვა სახელწოდების ნაბეჭდი წიგნი ქართულსა, რუსულსა და ფრანგულ ენაზე.

5) ზაქარია გიორგის ძემ ფორაქიშვილმა: შავი ფული თეიმურაზისა.

6) ივანე მიხეილის ძემ დაკიშევიჩმა: 29 წვრილი ფული ვერცხლისა (ნაპოვნია სოფ. ნატანებში, ეკლესიის ნანგრევებში).

7) ბარბარე ედიშერის ასულმა მაღალაშვილისამ: ძაყაში, ქონის სანთლის ცხვირის შოსახოცი და ჩასაქრობი.

8) ტფილისის ქართულ გიმნაზიის მოწაფემ ვალერ. ავალიანმა; ა) „საქრისტიანო მოძღვრება“ (ნაბეჭდი) და ბ) ხელნაწერი, რომელშიაც მოთხრობილია ქრისტეს ჯვარცმის ამბავი.

9) მინადორა დიმიტრის ასულმა ტატიშვილის ქვრივმა: ა) პატარა ჩარექა მოლურჯო ქიქისა, ერეკლე ბატონიშვილის ნაქონი; ბ) წერილი მეფე ერეკლის ასულისა, ანასტასია ბატონიშვილისა თავად ქსნის ერისთავთან, შანშე ისეს ძესთან მიწერილი 1825 წელსა და გ) ქართული ჩუქურთმა გრიგოლ ტატიშვილისა.

10) ბ-ნმა ალექსი მირინაშვილმა: მხედრული ხელნაწერი კრებული, რომელშიაც მოთავსებულია „სიტყვა თქმულთა“.

11) ს. რ. გორგაძემ ორი კლიშე: ა) ბაგრატის ტაძრის გეგმისა და ბ) ქართულ, ბერძნულ და არაბულ ანბანებისა.

12) მღვდელმა ვასილ კარბელაშვილმა: ა) ჟურნალი „მოსკოვის ტელეგრაფი“, № 16 1833 წ. მარიამობისთვისა, და ბ) მხედრული ხელნაწერი წიგნი: „ანდრია სალოსის ცხოვრება“.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

24 ივნისს 1912 წ. ს. დიდ-ლილოში მოხდა შეერთებული კრება საკრედიტო და მერძევეთა ამხანაგობებისა, კრების თავმჯდომარემ დ. ვაჩნაძემ აცნობა წევრებს, რომ ეკატერინე ივანეს ასულმა სარაჯიშვილისამ შემოსწირა საკრედიტო და მერძევეთა ამხანაგობებს 300 მან. საკუთარ შენობის ასაგებად ს. დიდ-ლილოში. კრებამ ფეხზე ადგომით პატივსცა განსვენებულ მოღვაწის დ. ზ. სარაჯიშვილის ხსოვნას და ერთხმად გადასწყვიტა: „დაევალოს კრების თავმჯდომარემ პრესის საშუალებით გლეხთა ორივე კოოპერატივის სახელით გამოუცხადოს ეკატერინე ივანეს ასულს სარაჯიშვილისას თავისი ულრმესი მადლობა ამ ფრიად მნიშვნელოვან შემოწირულებისთვის და საკრედიტო ამხანაგობის საოპერაციო დარბაზში ჩამოიკიდოს დ. ზ. სარაჯიშვილის სურათი“.

დავით ვაჩნაძე

ჩვენ, ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი, ვიზიარებთ რა საზოგადო მწუხარებას, გამოწვეულს სასიქადულო პედაგოგის, ერის სიამაყის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებით, ვადგენთ ამასთანავე მის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად 23 მ. 70 კ. შეკრეფილს ჩვენ შორის. სია შემომწირველთა:

კონსტანტინე კაჭახიძე 4 მ., ვლადიმერ ჩოჩია 3 მ., ტრიფონ მიქაბერიძე 3 მ., მარია შანიძე 2 მ., გრიგოლი გეგეჭკორი 1 მ. 50 კ., ალექსანდრე შანიძე 1 მ., ილია წულუკიძე 1 მ., ნიკოლოზ კურცხალია 1 მ., ქრისტე ბაბალ-ოღლი 1 მ., ივანე რობაქიძე 1 მ, ილია გოგავა 1 მ., იაკობი კოსტავა 1 მ., გრიგოლ ანტი-პარმოღლი 50 კ., სიმონ ანტიპარმოღლი 50 კ., ევგენი იოსელიანი 50 კ., მელხისედეკ გვინჩიძე 50 კ., დომენტი გოგოლაშვილი 50 კ., სიმონ აბულაძე 50 კ., იოსები მახარაძე 20 კ. სულ 23 მან. და 70 კ.

ამხანაგთა მონდობილობით

ვლადიმერ ჩოჩია.

უმორჩილესად ვსთხოვ „სახალხო გაზეთის“ რედაქციას ამ წერილს ადგილი მისცეს „სახ. გაზ.“ ერთ-ერთ მახლობელ ნომერში.

გაზ. „მშაკის“ 1906 წლის 21 ივლისის № 155-ში მოთავსებულ ცნობაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო ვითომც მე, ალექპერ ბეგ რაფიბეგოვი, აირაჟინელ მემამულე—ბაგატურ ბეგ კალაბეგოვთან, 17 ივლისს 1906 წ., დაბა აგდაშში, ძალით ვითხოვდით 2,000 ცხენოსან კაცის შეიარაღებას მისაშველებლად იმ შიიტებისა, რომელნიც უნდა ამხედრებულიყვნენ წინააღმდეგ სომხებისა, გაერეკათ ისინი აგდაშიდან, შეეწყვიტათ იმათთან ყოველივე კავშირი და სხ. ესეთი ბოროტი ცილის წამება ჩემ მიერ განსაჩივრებულ იქმნა განჯის საოლქო სასამართლოში, რომელმაც, საქმის განხილვის შემდეგ, მიუსაჯა, როგორც „მშაკის“ რედაქტორს ბ. კალანტარს, ეგრედვე აღნიშნულ ცნობის ავტორს—ვაქარს სვიმონ ნერსესიანს თითო თვით ციხეში დაპატიმრება. იმისდა მიუხედავად, რომ ამ საქმემ სამმართველო სენატამდე იარა, მაინც აღნიშნული გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში დამტკიცებულ იქმნა. სასამართლოს ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანამდე კი მე და ბ. კალანტარი შევთანხმდით შემდეგის პირობით:

1, მე, კალანტარი, დავრწმუნდი რა რომ გაზ. „მშაკის“ № 155—1906 წ. მოყვანილ ს. ნერსესიანის კორესპონდენციით ცილი დავსწამე რაფიბეკოვს, ბოდიშს ვიხდი იმის წინაშე საჯაროდ,—ბეჭვდითი სიტყვით (იხ. გაზ. „მშაკი“ № 124 1912 წ.)

2, მე, რაფიბეგოვი, დავკმაყოფილდი-რა კალანტარის მიერ ბეჭვდითი სიტყვით გამოთქმულ ბოდიშის მოხდით, განცხადებას ვაძლევ განჯის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელს, რათა ბ. კალანტარს მოეხადოს საოლქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სასჯელი,—ერთი თვით დაპატიმრება.

ვსთხოვთ ეს წერილი გადაბეჭდონ ადგილობრივმა, როგორც რუსულმა, აგრედვე ქართულმა, თათრულმა და სომხურმა გაზეთებმა.

ალექსანდრე ბეგ რაფიბეგოვი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. ჭურღულაშვილი.

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, დამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ:** ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით დამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 8 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ:** სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. სახ. № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში:** სააგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ:** საფოსტო № 74/75 დამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ:** სამგზ. და საბარგო მატ. № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 1! ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან:** ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან:** ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, დამ. ,, ს. 40 წ.

**მცხეთიდან:** საგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სახ. № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. სახ. № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან:** საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 წ. **ერევნიდან** საქონ. და სახ. № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, დამ. 8 ს. 33 წ.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი. გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შაჟერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თბთეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## გემების მიმოსვლა

**საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე**

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

**საფოსტო** № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 2 ს. გემი ვ. კ. „კსენია“.

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პ ი რ დ ა პ ი რ ი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები** ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტ ფ ი ლ ი ს შ ი ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

**სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“**

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედესერსიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „კავკაზ ი მერკური“ ტელ. 682.


# განცხადებანი

## მასწავლებელი-ქალი

კარგად ამზადებს საშუალო სასწავლებ. მე-2 კლასამდე, აგრედვე მიიღებს ანბანის უცოდინარ ბავშვებსა და მოზდილებსაც. **მოკლე ხანში ხელს უსწორებს და ლამაზად წერას ასწავლის.** აქვს 6 წლის გამოცდილება და ქების ქაღალდებიც. ღარიბებს ნაკლებ ფასს ართმევს. **მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, № 9, ბინა 4. (1.362.?)

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ბეგაზაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მუღინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი ე. ნ. **ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.** (წ. 1074.89)

**საგულისხმოა ახლად ჩამოსულთათვის,**

**ტფილისში არის სასტუმრო**

# „იმპერიალი“

ქალაქის შუაგულს. ნომრები არის 80 კ. 3 მ. 50 კ.-დე, **თვიურად ფას-დაკლებით.** სამაგალითო სისუფთავე, ელექტრონის განათება და სრული მოწყობილობა განსაკუთრებით **მოექსკურსე ხალხის** ყურადღებას მივაქცევთ. კიროჩნი ქუჩა, ქიმსა და მიხეილის პრ., **ტელეფონი** № 425.

**პატრონი ს. ს. მოწონელაძე.** (1.1363.1)

# სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიშში, **№ 34**, ფეოდოსის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში, 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე ამოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. კირტუმოვი.** (თ. 1037.72)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. [illegible] დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. [illegible]

# სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ბადაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრებისა სულით-ავადმყოფთ. ელექტროთერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წამლობა „606“-ით.** (0—1253—77)

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

# მელნები

ამხ. „ქიმიკოსი“. ქ. ტფილისი. მალაკნის ქ. № 16. (6.524.6)

**იყიდება ლიმონადის ქარხანა**

# „შვეიცარია“

**ნაძალადევში**

მთელი თავის მოწყობილობით, რადგანაც ტფილისიდან გავდივართ. ცნობებისთვის მიმართეთ **ნაძალადევში, აფანასიევის ქ., № 3, კავთიაშვილს.** (25—4?2—25)

**გამოცდილ** მასწავლებელ ქალვაჟთა ჯგუფი, რომელის სათავეში დგანან **უმაღლეს საპედაგოგიო სწავლა დასრულებულნი, ამზადებს** ქალ-ვაჟთ **ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისათვის:** სავაჟო და საქალო გიმნაზიებისათვის; კადეტთა კორპუსისათვის; ქართული გიმნაზიისა, რეალური, საკომერციო, სამხედრო, ქალთა საეპარქიო, სატეხნიკო, მიწის-მზომელთა, საგრონომიო, საფერშლო, სასულიერო და საქალაქო სასწავლებელთათვის; სამასწავლებლო და ხაზინის ინსტიტუტისა, სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიისათვის, **სიმწიფის მოწმობის მისაღებად, საშინაო და სახალხო მასწავლებლად,** აფთიაქის სამოწაფოდ და პირველი კლასის ჩინის მისაღებად. **იქვე იღებენ ანბანის უცოდინარ ბავშვებს.**

**მიმართეთ:** 1) ელისაბედ. ქუჩა, № 23, ბებურიშვილის ბინა, ნაშუადღევის 4—6 საათამდის, 2) ნიკოლოზის ქუჩა, № 92, ქარცივაძის ბინა, დილის 9—12 საათ., საღამოს 4—6 საათამდის, 3) ავჭალის შუკა (პერეულოკი, № 9, კოლიუბნის ბინა, ნაშუადღევის 3—4 საათამდე. (25—?2 5—15

# ვერა „ბაღი ედემი“.

საუკეთესო ჰაერი. შეიძლება ადამიანმა თავისუფლად ამოისუნთქოს. იქვე **უკრავს ყოველ დღე ქალთა და ვაჟთაგან შემდგარი „სიმებიანი ორკესტრი“**. საუკეთესოდ მოწყობილი ბუფეტი. ალაგობრივი და საზღვარ-გარეთული ყოველნაირი სასმელები. სამზარეულო აზიური და ევროპიული. ვკისრულობთ სადილებისა და ვახშმების გამართვას. ყოველ დღე არის **„ცოცხალი თევზი“**. დაკვეთა შეიძლება პირადად და ტელეფონითაც. **ტელეფ. № 296.** პატივისცემ. **კონსტანტინე ი. ბაქრაძე.** (6.344.9)

## არ გაგონილა! მხოლოდ 2 მან. 95 კაპ.






ვგზავნით ქვემოდ ჩამოთვლილ 14 ნივთს: 1. მშვენიერ მკვიდრ უბის საათს კაცთათვის — „ანკერ“ (და არა ცილინდრი) ინგლისურ შავ-ფოლადისა. იმართება თავით 36 საათში ერთხელ, ხმა წკრიალო აქვს, 15 ქვიანია. 2. ქალთ. საუცხოვო ყელის მეწკვი, ახალი ფასონისა. 3. ბრელოკი-კინემატოგრაფი კომპასით, ან საუცხოო სანახავებით. 4. ზამშის ბუდე საათისათვის. 5. მოხდენილი ბეჭედი ამერიკულ ოქროსი „დუბლე“, პარიზულის თვალით. 6. სათეატრო ბინოკლი 4 ახრამატიულ შუშით ჩვეულებრივის ზომისა, რომელიც დიდის მანძილიდან აახლოვებს საგნებს. 7. საათის უზრუნველმყოფელი ქურდებისაგან. 8. პარიზის პლასტოგრაფი, ზედმიწევნით მაჩვენებელია სხვა და სხვა სანახაობისა, 9—14 ექვსი მეტის-მეტად სიგულისხმო სურათი. სულ ეს ღირს მხოლოდ 2 მ. 95 კ., ორი წყება 5 მ. 50 კ., 4 წყება—0 მ. 50 კ. ესენივე სახურავიან საათით 1 მანეთით **მეტი ღირს.** ხსენებული წყება საათითა და ნივთებით საუკეთესო ღირსებისა და უმაღლესი ხარისხისა—3 მ. 95 კ., ორი წყება—7 მ. 40 კ. გასაგზავნი ორ წყებამდე—40 კ. (ციმბირში 75 კ.) საათსა ვგზავნით შემოწმებულ-შესწორებულს წუთი-წუთზე 8 წლის თავდებობით, ფასდადებით და უბეოდ. მ ი ს ა მ ა რ თ ი:

И. ШТРУМФЕЛЬДЪ ВАРШАВА, ЭЛЕКТОРАЛЬНАЯ 11. ОТД. 116.

ეს მისამართი ამოსჭერით და კონვერტს ან ღია წერილს დააკარით.

Метцль. 36443. (6.1337.3)

## საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

# თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

**ყურადღება!**

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ საგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

აგრედვე **ყოველ დღე მოგვდის** საკუთარ სამრეწველოებიდან **ახალ-ახალი ზუთხი, თართი** და **ლოქო.** მაღაზიაში ყოველთვის მოგვეპოვება **მოხარშული დოში, იანი, ჭიპა, გამოსული ზურგიელი:** კავკასიისა, დონისა, ორაგულისა, გვაქვს ყოველნაირი საქონელი და კონსერვები.

(წ.1131.94)